

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სადოქტორო პროგრამა: რომანული (ესპანური) ფილოლოგია

სალომე სულაბერიძე

დოქტორანტის სემინარი თემაზე:

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემური კავშირები ესპანურ ენაში

ნაშრომის ხელმძღვანელი: მარინე კობეშავიძე
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი.....	2
თავი I.	
პოლისემია ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.....	5
თავი II.	
ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სინონიმური კავშირები.....	8
თავი III.	
ომონიმია ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.....	12
თავი IV.	
ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანტონიმური კავშირები.....	17
თავი V.	
ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემა.....	19
დასკვნა.....	25
გამოყენებული ლიტერატურა.....	26

შესავალი

როცა ვსაუბრობთ ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგის კვლევაზე, ზოგჯერ მკვეთრი საზღვრის გავლება ძალიან რთულია და მეცნიერებს უჭირთ განსაზღვრონ თუ სად მთავრდება ერთი დარგის კვლევის ინტერესები და იწყება მეორესი. რა თქმა უნდა, საქმე უფრო რთულდება, როცა კვლევის ობიექტი არის ენა, რადგან ლინგვისტური კვლევა არ გულისხმობს მხოლოდ რომელიმე ენის გრამატიკული თუ ლექსიკური სტრუქტურის ანალიზს. ლინგვისტურმა კვლევამ გაიფართოვა თავისი არეალი, რადგან, დღეს მეცნიერები ენას განიხილავენ, როგორც კულტურის შემქმნელ საშუალებას, როგორც საზოგადოების მსოფლმხედველობის, მათი აზროვნების გამოხატულებას. სწორედ ამიტომ, ენა შეისწავლება მრავალი თვალსაზრისით, იქნება ეს - ენა, როგორც კულტურის შემქმნელი, კულტურის პროდუქტი, როგორც სოციალური ურთიერთკავშირისა და კომუნიკაციის საშუალება, ენა, როგორც ხალხის წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენების გამოხატულება.¹ უფრო მეტიც, ენაში დალექილია ქვეყნის განვითარების ისტორიაც! გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „*რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს*“, ალბათ, ყველაზე კარგად გადმოსცემს ენის მნიშვნელობას ერის კულტურული განვითარების პროცესში.

ჯორბენაძის მიხედვით, საანალიზოდ მნიშვნელოვან მასალას იძლევა ისეთი ენობრივი მოვლენები, როგორებიცაა: 1. ფიცილის ფორმულები და რეფრენები, ზოგი მყარი შესიტყვება; 2. ფრაზეოლოგიზმები და იდიომები; 3. ევფემისტური გამოთქმანი; 4. სიტყვის ტაბუ. მისი აზრით, თითოეული ამ ფაქტის ანალიზი საინტერესოა ენის ისტორიის, ენის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ენის გრამატიკული წყობის თვალსაზრისით.² მოცემულ თემაში მე სწორედ ფრაზეოლოგიზმების თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე ვიმსჯელებ.

ფრაზეოლოგია შედარებით ახალგაზრდა დისციპლინაა. დიდი ხნის მანძილზე, ის მიაჩნდათ ლექსიკოლოგიის ნაწილად. ევროპაში ფრაზეოლოგიზმების კვლევა 1905 წლიდან იწყება შვედი ენათმეცნიერის ჩარლზ ბალის კვლევებით. ფრაზეოლოგიზმის, როგორც დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება დაკავშირე-

¹ (ქ. გოჩიტაშვილი).

² (ბ. ჯორბენაძე, 1997: §30).

ბულია საბჭოთა ლინგვისტებთან, მათ აღიარეს ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიისგან დამოუკიდებელ დისციპლინად. მეცნიერებმა ფრაზეოლოგიზმების კვლევა დაიწყეს ლინგვოკულტუროლოგიის ჭრილში, რადგან ისინი, როგორც სიტყვათა მყარი შესიტყვებანი ერის ცნობიერების გამომხატველია.³ ფრაზეოლოგია გახდა ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომლის კვლევისას ჩვენ ვაანალიზებთ არა მხოლოდ ენის გრამატიკულ სტრუქტურას, არამედ შევიცნობთ ამ ენაზე მოსაუბრე ხალხთა კულტურის ისტორიას.

ბოლო ათწლეულებში ფრაზეოლოგიზმებს აქტიურად შეისწავლიან ევროპელი და ამერიკელი ლინგვისტები, რადგან ფრაზეოლოგიზმების კვლევა ერთნაირად საინტერესოა, როგორც ენათმეცნიერებისთვის, ასევე კულტუროლოგებისა და ეთნოლოგებისთვის. ისინი მიიჩნევენ, რომ ენის ან/და კულტურის კვლევა ფრაზეოლოგიზმების კვლევის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება.⁴

ესპანეთში ფრაზეოლოგიით XX საუკუნის შუა წლებიდან ინტერესდებიან. ფრაზეოლოგიზმების კვლევა იწყება ხულიო კასარესის (1950) ნაშრომით. კვლევას აგრძელებს ენათმეცნიერი ალბერტო სულუაგა (1980) და სხვა მეცნიერები, ხოლო 90 - იან წლებში გლორია კორპასი (1996), რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი *Manual de fraseología española*,⁵ მის ამ ნაშრომს ლინგვისტები მიიჩნევენ ფრაზეოლოგიზმების კვლევაში ერთ-ერთ ძირითად კვლევად.⁶

ხოფერიას ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ფრაზეოლოგიის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ამოცანას წარმოადგენს მყარი შესიტყვებების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ობიექტურ კანონზომიერებათა გამოვლენა, მათი ფორმის, მნიშვნელობისა და გრამატიკული ფუნქციების ანალიზი, მათი ვარიანტებისა და სინონიმური კავშირების, სტილური და ემოციურ-ექსპრესიული მახასიათებლების, მეტყველებაში სახეცვლილების ხერხების განსაზღვრა, ფრაზე-

³ (A. Merino González, 2015: 222).

⁴ (ქ. გოჩიტაშვილი).

⁵ ესპანური ფრაზეოლოგიის სახელმძღვანელო.

⁶ (M. Valero Gisbert, 2013: 12).

ოლოგიზმების წარმოქმნის ისტორიის კვლევა, ფრაზეოლოგიური ლექსიკონებისა და დამხმარე ლიტერატურის შედგენის პრინციპების შემუშავება და ა.შ.⁷

სიჭინავას მიხედვით, თანამედროვე ფრაზეოლოგიურ თეორიაში მიღებულია ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ფართო გაგება. ფრაზეოლოგიას მიაკუთვნებენ ერთეულთა შემდეგ ტიპებს: 1) იდიომები, შეერთებები და ერთობლიობები; 2) ფრაზეოლოგიური შეხამებები; 3) ანდაზები; 4) ანდაზური თქმა; 5) ფრთიანი სიტყვები (ანუ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები); 6) ენობრივი შტამპები.⁸

ესპანური ენა, ისევე, როგორც ქართული, მდიდარია ფრაზეოლოგიური ერთეულებით, იდიომებით, მყარი შესიტყვებებით. ესპანური ენა რომანულ ენათა ოჯახს განეკუთვნება და სრულიად განსხვავდება ქართული ენისგან. სწორედ ამიტომ, ბევრისთვის წარმოუდგენელია, რომ ამ ორ ენას შორის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეიძლება არსებობდეს მსგავსებებიც. მაგალითად, გამოთქმა - *talón de Aquiles*, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნის მნიშვნელობა ქართულადაც და ესპანურადაც ერთია და ნიშნავს - *აქილევსის ქუსლი (სუსტი წერტილი)*. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ძნელია ორ ენაში ეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულების მოძებნა, რაც წარმოადგენს კიდევ თარგმნის სირთულეს. მაგალითად, *media naranja* სიტყვა-სიტყვით თარგმნის შემთხვევაში, რაც ნიშნავს *ნახევარი ფორთოხალი*, ქართველები ვერ მივხვდებით თუ რას გულისხმობენ ესპანელები ამ ფრაზაში; ქართულში ამ გამოთქმის ეკვივალენტურია „*მეორე ნახევარი*“⁹

ქართული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები კარგადაა შესწავლილი, ასევე ხშირად ტარდება კვლევები სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, მის ეკვივალენტურობაზე ქართულ ენასთან მიმართებით, თარგმნის პრობლემაზე და ა. შ. იმავეს ვერ ვიტყვით ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე. ესპანური სამყარო შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ჩვენი მეცნიერების მიერ. ამ თემაზე ცოტა კვლევა ტარდება, ესპანური ფრაზეოლოგიზმების ზღვა მასალა კი ქართველ ენათმეცნიერთა ყურადღებას მოითხოვს. ვფიქრობ, ესპანურ კულტურას უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ, ალბათ, ურიგო არ იქნება იმის კვლევა თუ როგორი სახის სისტემური

⁷ (მ. ხოფერია, 2014: 7).

⁸ (ნ. სიჭინავა, 2010: 143).

⁹ (მ. კობეშავიძე, ც. ახვლედიანი, 2017: 50, 51).

კავშირები ახასიათებთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ესპანურ ენაში. ასევე, ყურადღებას გავამახვილებ ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემაზე და დავეყრდნობი როგორც ქართველ, ასევე უცხოელი ენათმეცნიერების მოსაზრებებს.

თავი I. პოლისემია ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

ესპანელი ენათმეცნიერი ხულიო კასარესი ესპანური ენის მყარი შესიტყვებების 3 ტიპს გამოყოფს: locuciones (გამოთქმა, შესიტყვება, გამონათქვამი), frases proverbiales (საანდაზო ფრაზები) და refrán (ანდაზა). პირველ მათგანში ის განიხილავს სწორედ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და აღნიშნავს, რომ მათ ყველა ის სისტემური კავშირი ახასიათებთ, რაც - ცალკეულ სიტყვებს. ამ კავშირთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადსაღებოა პოლისემია, სინონიმია, ომონიმია და ანტონიმია. ამ თავში კი ვისაუბრებ ფრაზეოლოგიური ერთეულების პოლისემიურ კავშირებზე.

ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობა მონოსემატიკურობით გამოირჩევა, თუმცა ყველა ენაში არსებობს ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებმაც ენის განვითარების პროცესში ახალი მნიშვნელოები შეიძინეს და მრავალმნიშვნელობიან ერთეულებად იქცნენ, თუმცა მათი მნიშვნელობათა რაოდენობა მაინც შეზღუდულია. ძირითადად, პოლისემიურ ფრაზეოლოგიზმებს ორი ან სამი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ხშირად გამოიყენება მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა, დანარჩენები კი, შედარებით, იშვიათად ფიქსირდება. როგორც ხოფერია წერს, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მრავალმნიშვნელობიანობა დამოკიდებულია არა მარტო ფრაზეოლოგიზმის ხმარების კონტექსტუალურ და სიტუაციურ პირობებზე, არამედ გრამატიკულ განპირობებულობაზეც, დასახელებული ობიექტის მართვაზე, შესიტყვადობაზე, სინტაქსურ ფუნქციაზე, სულიერებასა და არასულიერებაზე და ა. შ. მას პოლისემანტიკური ფრაზეოლოგიზმების მაგალითებად მოჰყავს:

- *Mala fé* - 1. უპატიოსნობა, უწესრიგობა, ორპირობა;
2. მუხანათობა, ვერაგობა, ურცხვობა;
- *Caballo de batalla* - 1. მთავარი კოზირი, საუკეთესო ნომერი, როლი;
2. მუდმივი თემა, აჩემებული, საყვარელი საგანი;

3. აკვიატებული იდეა, მანია;

- *Calma chicha* – 1. წყნარი ამინდი;
- 2. სიზარმაცე, მოდუნება;
- 3. პაპანაქება, ხვატი, თაკარა;
- 4. სახიფათო სიჩუმე, ცრუ სიმშვიდე.¹⁰

გარკვეულ შემთხვევებში, ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა პირდაპირ დაკავშირებულია დისკურსში მორფოსინტაქსურ მიმართებებთან. ამგვარად, გამოარჩევენ ფრაზეოლოგიზმების წაკითხვის ორ მეთოდს: პირდაპირი და გადატანითი (იდიომატური) მნიშვნელობით. მაგალითად, განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმი - *caérsele el pelo a alguien*. ეს ფრაზა პირდაპირ ითარგმნება, როგორც - *თმის ჩამოვარდნა*, მაგრამ, ხშირად იხმარება გადატანითი მნიშვნელობით, ხშირია მისი გამოყენება მომავლის კონტექსტში და არის მუქარის შემცველი - *¡se te va a caer el pelo!* - *პასუხს აგებ! დაისჯები!*

იგივე ხდება ფრაზეოლოგიზმის *quitarle la palabra de la boca a alguien* შემთხვევაშიც. აქ იკვეთება ორი მნიშვნელობა: 1. *ვინმეს შეაწყვეტინო საუბარი, არ მისცე გაგრძელების საშუალება*; 2. *დამასწარი თქმა, ამის თქმას ვაპირებდი და სიტყვა პირიდან გამომაცალე*.

გარკვეული მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმი - იქნება ეს მისი პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობა - სემანტიკური მახასიათებლების აქტანტებთან კომბინაციაში იძენს ახალ მნიშვნელობებს. ფრაზეოლოგიზმების პოლისემიური მნიშვნელობები უკავშირდება მასში შემავალი აქტანტების სემანტიკურ მნიშვნელობებს. ზოგი მნიშვნელობა ქრება, ზოგი - სუსტდება და ფრაზეოლოგიზმს უჩნდება პოლისემიური მნიშვნელობები. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი: *ponerse en pie* - მისი მნიშვნელობები ერთმანეთთან დაკავშირებულია მეტონიმით - მიზეზ-შედეგი. მისი მნიშვნელობები შეიძლება იყოს:

1. *Levantarse / ponerse de pie* - *ადგომა, ფეხზე დადგომა*;

¹⁰ (მ. ხოფერია, 2014: 14, 15).

2. *Recuperarse después de una enfermedad* - ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელება;

3. *Animar a alguien* - წახალისება, წაქეზება, შეგულიანება, გამხნეება;

4. *Ayudar a alguien a erguirse* - დაეხმარო ადგომაში, ააყენო;

5. *[Público]: entusiasmar a un público* - პუბლიკის მოხიბვლა, აღელვება;

6. *[Proyecto]: poner un proyecto en marcha* - პროექტის წამოყენება, დაყენება;

7. *[Edificio] construir un edificio* - აშენება...

ფრაზეოლოგიზმს შეიძლება გაუჩნდეს ახალი მნიშვნელობა ირონიის გამოყენებით, რაც შებრუნებული მნიშვნელობით აზრის გამოთქმაა და მიზნად ისახავს ვინმეს დაცინვას. ამ ხერხის გამოყენებით, მოსაუბრე ამბობს ერთს, მაგრამ გულისხმობს მეორეს.

ირონიული ნათქვამიც შეიძლება გავიგოთ როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. სწორედ ფრაზის გადატანითი მნიშვნელობით გაგების შემთხვევაში, ირონიული ტროპის მეშვეობით იბადება ახალი მნიშვნელობა. მაგალითად, მოცემული ფრაზეოლოგიზმი: *ir bueno*, პირდაპირი მნიშვნელობისგან (*ir* - წასვლა, *bueno* - კარგი) განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს *estar equivocado* - ცდები, გეშლება.

განვიხილოთ მეორე ფრაზეოლოგიზმიც: *pasarse de listo* - ირონიული მნიშვნელობით ნათქვამი იდიომია და სულაც არ ნიშნავს „იყო ძალიან ჭკვიანი“, როგორც შეიძლება გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ნიშნავს - *ეცადო, თავი მოაჩვენო უფრო ჭკვიანად, ვიდრე სხვები და სინამდვილეში სულაც არ იყო ასეთი*.¹¹ ფრაზეოლოგიზმს ეს მნიშვნელობა გაუჩნდა მოსაუბრის მხრიდან კრიტიკული და ირონიული შეფასებისას. სწორედ ამ ნეგატიური მნიშვნელობის გამოა, რომ ფრაზეოლოგიზმი პირველ პირში, უმრავლეს შემთხვევაში, არ იხმარება.

¹¹ Intentar mostrarse en algo más inteligente que otros y sin embargo estar equivocado.

იდიომში ახალი სემემები შეიძლება გაჩნდეს რეგისტრის ცვლილებებთან დაკავშირებითაც, მაგალითად, როდესაც რელიგიურ-ლიტერატურული ფორმა იცვლება ყოველდღიური სასაუბრო ენით. რეგისტრის ცვლილება შინაარსში ხდება, იმ შემთხვევაშიც, როცა ხდება უსულო საგნის პერსონალიზაცია და მას ემატება სულიერის მნიშვნელობა (მეტაფორულიცაა, რადგან პერსონალიზებულია). სწორედ მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, ფრაზეოლოგიზმის *Pasar a mejor vida* შემთხვევაშიც. ამ იდიომს თავიდან ჰქონდა ორი მნიშვნელობა: 1. *morir* (გარდაცვალება, სიკვდილი), 2. *desaparecer* (გაქრობა). *Morir* ითქმის სულიერზე, ადამიანზე, ხოლო *desaparecer* - უსულოზე, საგანზე. დროთა განმავლობაში კი განვითარდა ახალი სემემები: *desaparecer* → *estropearse* (გაფუჭება, დაზიანება); *caer en el olvido* (დავიწყება), რომელთა გაჩენა ემთხვევა, ერთი მხრივ, საგნის კლასობრივ ცვლილებას და, მეორე მხრივ, მოსაუბრის იუმორისტულ ჩართულობას. შესაბამისად, სემემას კლასობრივი ცვლილება წარმოქმნის ახალ მნიშვნელობებს - *estropearse*, *caer en el olvido*. ამ შემთხვევაში იცვლება ფრაზის რეგისტრიც და შინაარსიც - ევფემისტური¹² - დისფემისტურით¹³ და რელიგიურ-ლიტერატურული - სასაუბროთი.¹⁴

ამგვარად, პოლისემია არის ენის სიმდიდრე, ქვეყნის კულტურული განვითარების ნათელი მაგალითი. რაც უფრო დიდი კულტურული ტრადიცია აქვს ერს, მით უფრო მდიდარია ენა პოლისემიური მნიშვნელობებით.

თავი II. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სინონიმური კავშირები

ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის შეიძლება სინონიმური ურთიერთობებიც წარმოიქმნას. ხოფერიას მიხედვით, ეს მაშინ ხდება, როდესაც მეტყველების ერთსა და იმავე ნაწილთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმების კონსტანტურფრაზული ანდა ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობები

¹² ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში სააუგოდ, საჩოთიროდ და სახიფათოდ მიჩნეულ სიტყვა-თქმათა ნაცვლად ხმარებული უფრო ნატიფად, ზრდილობიანად და უვნებლად მიჩნეული სიტყვა-თქმები (<https://ka.wikipedia.org/wiki/ევფემიზმი>).

¹³ ევფემიზმის ანტონიმებად გამოიყენება, რაც ნიშნავს განზრახულად უხეში სიტყვისა ან გამოთქმის გამოყენებას ზრდილობიანის ნაცვლად. შეიძლება იყო შეურაცმყოფელი ან ირონიულად დამაკნინებელი (<https://ka.wikipedia.org/wiki/დისფემიზმი>).

¹⁴ (C. Mellado Blanco).

ერთნაირ ცნებებს გამოხატავენ და ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაგანი ფორმითა და მნიშვნელობათა ელფერით ან/და სტილისტური შეფერილობით. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმების შინაგანი ფორმის ლექსიკურ-სემანტიკური შინაარსი განსხვავებული უნდა იყოს.

გრამატიკული აგებულებით ფრაზეოლოგიური სინონიმები შეიძლება იყოს:

- თანაბარსტრუქტურისანი, როდესაც მათი მოდელი ერთნაირი აღმოჩნდება. აქ ხოფერიას მოჰყავს შემდეგი მაგალითები: *besar la correa / doblar la cerviz - თავის დამდაბლება, ძალისადმი დამორჩილება; tomar el olivo / perder el hat - მოკურცხვლა; cabeza de tarro / alma de cántaro - სულელი, ხეპრე, ბოთე; burro de carga / cabeza de turco - განტევების ვაცი.*
- განსხვავებულსტრუქტურისანი, როდესაც მათი მოდელები არ თანხმდება: *cruzar la cara / dar de bofetadas - სახეში გარტყმა, სილის გაწვნა; a banderas desplegadas / con el corazón en la mano / a la luz del día / a las claras - ღიად, გულახდილად, დაუფარავად; a la chita callado / por debajo de la cuerda / a escondidas - ჩუმ-ჩუმად, ფარულად, საიდუმლოდ, მიპარვით და ა. შ.*

ხოფერია ასევე აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური სინონიმები ენაში არ ემნიან განკერძოებულ სინონიმურ მწკრივებს. ისინი წარმოადგენენ ნაწილს ამა თუ იმ სინონიმური მწკრივისა, რომელიც შედგება როგორც ჩვეულებრივი სიტყვებისგან, ასევე ფრაზეოლოგიზმებისგანაც. ისინი არსებითად ზრდიან სინონიმური მწკრივების ემოციურ-ექსპრესიულ და შემფასებლურ შესაძლებლობებს. მაგალითად, სინონიმები, რომლებიც თავს იყრიან „ჭამა, კვება“ ცნების გარშემო: *comer, tomar, cenar, desayunar, almorzar, tragar, zampar, llenar la andorga, matar el hambre, reparar las fuerzas* და ა. შ.¹⁵

ესპანელი ენათმეცნიერი ალბერტო სულუაგა თავის ნაშრომში *Introducción al estudio de las expresiones fijas*¹⁶ სწავლობს ფრაზეოლოგიურ ვარიაციულობასა და სინონიმის შორის განსხვავებას. ის ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს უწოდებს სინონიმურს, რომელთა სტრუქტურა ან შემადგენელი სიტყვები არის სრულიად

¹⁵ (მ. ხოფერია, 2014: 15-17).

¹⁶ შესავალი მყარი შესიტყვებების კვლევაში.

განსხვავებული და ზოგ კონტექსტში - ურთიერთცვალებადი, თავისი მნიშვნელობების ექვივალენტურობის გამო. ამ კავშირებს სულუაგამ უწოდა „ფართო მნიშვნელობის ვარიანტები“¹⁷: *Tomar / coger las de Villadiego* და *poner pies en polvorosa* - *გაქცევა, მოკურცხვლა*; ამ ორ ფრაზას ავტორი განიხილავს, როგორც ფრაზეოლოგიურ სინონიმებს.¹⁸

ამ თემას იკვლევდა კიდევ ერთი ლინგვისტი გლორია კორპას პასტორი, რომელიც განასხვავებს სტრუქტურულ ვარიანტებსა და სტრუქტურულ სინონიმებს. მას მიაჩნია, რომ სტრუქტურული ფრაზეოლოგიური სინონიმები განირჩევიან სტრუქტურული კავშირებით და შემადგენელი ლექსიკის ნაწილობრივი იდენტურობით. ავტორი ფრაზეოლოგიურ სინონიმებად განიხილავს: *poner a uno las peras a cuatro / poner a uno las peras a ocho* – *გაბრაზება, საყვედურის თქმა, ადგილის მიჩენა*.¹⁹

კიდევ ერთი ენათმეცნიერი, მარიო გარსია ფეიჯი სინონიმური კავშირების ორ ჯგუფს გამოყოფს:

1. ინტრაფრაზეოლოგიური²⁰ ანუ შიდა სინონიმია - შემადგენელ ერთეულებს შორის კავშირი - *sano y salvo / vivito y coleando* - *ჯანმრთელი, უვნებელი, და ბედნიერი*; ²¹
2. ინტერფრაზეოლოგიური²² ანუ გარე სინონიმია, ორ ან მეტ მყარ გამონათქვამს შორის კავშირი. ამ უკანასკნელს განიხილავს ლექსიკური თვალსაზრისით განსხვავებულ გამონათქვამებად, მაგრამ სემანტიკურად მსგავსად. ინტერფრაზეოლოგიური სინონიმების მაგალითია: *pensar en las musarañas* და *estar en Babia* – *გონებაგაფანტული, დაბნეული, უყურადღებო, cortar el bacalao / llevar la voz cantante* - *მბრძანებლობა, ლიდერობა, მთავარი სიტყვის მოქმელი; importar un pepino / un pimiento* - *არაფერი აინტერესებს*.²³

¹⁷ “Variantes en sentido amplio“.

¹⁸ (C. T. Fajardo Rojas, 2017: 93).

¹⁹ (G. Corpas Pastor, 1996: 28).

²⁰ Intrafraseológica.

²¹ ამბობენ ადამიანზე, რომელიც ტრაგედიის მერე თავს შესანიშნავად გრძნობს, ან როცა ადამიანი გგონია გარდაცვლილი და ცოცხალი აღმოჩნდება.

²² Interfraseológica.

²³ (M. C. Garrido Rodríguez, 2006: 705).

გარსია ფეიჯი ასევე მიიჩნევდა, რომ ბევრი ზმნიზება, რომელიც იწარმოება ზედსართავზე ბოლოსართი *mente* -ს დამატებით, შეიძლება გახდეს რომელიმე ფრაზეოლოგიზმის სინონიმი:

- *Rematadamente loco = loco de remate* - სიგიჟის ზღვარს გასცდა;
- *Citar literalmente = citar al pie de la letra* - პირდაპირი მნიშვნელობით ციტირება;
- *Llover torrencialmente = llover a cántaros* - კოკისპირული წვიმა;
- *Saber memorísticamente = saber de memoria* - დაზეპირება.²⁴

მოცემული თეორიების ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები სინონიმურია თუ:

1. აქვთ მსგავსი მნიშვნელობა;
2. განეკუთვნებიან მსგავს გრამატიკულ კატეგორიას;
3. აქვთ განსხვავებული სინტაგმატური²⁵ და პარადიგმატური²⁶ მიმართებები;
4. არიან ურთიერთცვალებადები ერთ-ერთ მათი გამოყენების კონტექსტში მაინც, თხრობის მნიშვნელობის შეცვლის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ არიან სინონიმები მიუხედავად იმისა, აქვთ განსხვავებული სინტაგმატური კომბინაცია და განეკუთვნებიან სხვადასხვა რეგისტრს თუ არა, მაშინ, როცა სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებში მნიშვნელობის მსგავსება შენარჩუნებულია.

განვიხილოთ შემდეგი სინონიმური ფრაზეოლოგიზმები: *tirar a león [a alguien]*, *dar el avión [a alguien]*, *tirar de a loco [a alguien]* = ვინმეს იგნორირება, ყურადღების არ მიქცევა. მოყვანილი ფრაზეოლოგიზმები განეკუთვნებიან ერთ გრამატიკულ კატეგორიას და აქვთ ერთი მნიშვნელობა; აგრეთვე, შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული სინტაგმატური სტრუქტურა, მაგალითად, ზმნური სინტაგმის შიდა ელემენტები და განსხვავებული პარადიგმატული სტრუქტურა. და ბოლოს, მათი გამოყენება კონტექსტში ურთიერთჩანაცვლებადია: “*Un señor desconocido me quiso hacer plática en el camino. Obviamente, le di el avión*“ (გზაში უცნობმა ბატონმა ჩემთან გასაუბრება სცადა. რა თქმა უნდა, ყურადღება არ მივაქციე) - ფრაზა *dar el avión* შეგვიძლია

²⁴ (E. Ramón Trives, 2005:181).

²⁵ ასოციაციური.

²⁶ დისტრიბუციული.

შევცვალოთ შემდეგი ფრაზებით: *tirar a león* და *tirar de a loco* ისე, რომ მოცემული წინადადების მნიშვნელობა არ შეიცვლება. გარდა ამისა, მოცემული ფრაზები ერთ რეგისტრსაც განეკუთვნებიან (ყოველდღიური სასაუბრო ერთეულები).²⁷

თავი III. ომონიმია ესპანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

პროფესორი ალექსანდრე ონიანი, იკვლევდა ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების მნიშვნელობებს. ის აღნიშნავდა, რომ იდიომის კომპონენტები მეტწილად ცოცხალი სიტყვებია, რომლებიც დამოუკიდებლად იხმარებიან მეტყველებაში იდიომთა გარეშეც და რომ თავისუფალ შესიტყვებაში მათ აქვთ საკუთარი მნიშვნელობა. შესაბამისად, როგორც I თავში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა პოლისემიურ კავშირებზე მსჯელობისას აღვნიშნე, როდესაც ვსაუბრობთ ფრაზეოლოგიზმების პოლისემიურ მნიშვნელობებზე, გასათვალისწინებელია მათი წაკითხვის ორი მეთოდი - პირდაპირი და გადატანითი ანუ იდიომატური მნიშვნელობით. იგივე ხდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ომონიმური კავშირების დროსაც. ონიანი აღნიშნავს, რომ იდიომის კომპონენტებს შორის გრამატიკული შეკავშირებაც, ჩვეულებრივ, ემთხვევა თანამედროვე ენის ნორმებს. ამიტომ არის, რომ იდიომის გვერდით შეიძლება არსებობდეს მისი ომონიმური თავისუფალი შესიტყვება, რომელიც აგებულების მიხედვით არაფრით განსხვავდება იდიომისგან; მაგალითად კი მოჰყავს ფრაზეოლოგიზმი „*კოვზის ნაცარში ჩავარდნა*“, რაც შეიძლება ვიხმაროთ, როგორც თავისუფალი შესიტყვება (როდესაც გვინდა აღვნიშნოთ კოვზის ნაცარში ჩავარდნის რეალური ფაქტი), ან როგორც იდიომი - მნიშვნელობით: *მარცხის განცდა, წამოწყებული საქმის ჩაშლა, იმედის გაცრუება*.²⁸

ფრაზეოლოგიზმებთან ომონიმური კავშირები, სინონიმურ ან ანტონიმურ კავშირებზე უფრო იშვიათად გვხვდება. როგორც ხოფერიას ნაშრომში ვკითხულობთ, ფრაზეოლოგიზმისა და მასთან გენეტიკურად დაკავშირებული თავისუფალი შესიტყვების თანაჟღერადობა დონეთაშორისი მოვლენაა: ფრაზეოლოგიზმი ლექსიკური ერთეულია, ხოლო შესიტყვება - სინტაქსური ერთეული და თუკი მათ მაინც

²⁷ (C. T. Fajardo Rojas, 2017: 95, 96).

²⁸ (ალ. ონიანი, 1966: 6).

ომონიმებად მივიჩნევთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ესაა ენობრივი თანაჟღერადობის განსაკუთრებული სახე, რომელსაც შეიძლება გენეტიკურად დაკავშირებული ლექსიკურ-სინტაქსური ომონიმია ვუწოდოთ. ამ შემთხვევაში განიხილება ორი ან მეტი მდგრადი შესიტყვების თანაჟღერადობა. ის ფრაზეოლოგიური ომონიმის წარმოქმნის ძირითად განმაპირობებელ მიზეზებად მიიჩნევა:

- როდესაც ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობებს შორის ხდება პოლისემიის მოშლა და ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთი მნიშვნელობა დროთა მანძილზე შინაარსობრივ და ფორმალურ დამოუკიდებლობას იძენს. მაგალითად კი მოჰავს შემდეგი მყარი შესიტყვება - *echar la bendición*. ის ამბობს, რომ თანამედროვე ენაში არის ამ ფორმის მქონე ორი ომონიმური ფრაზეოლოგიზმი. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს *ქორწინებაზე თანხმობის მიცემას*, მეორე კი - *ხელების დაბანას, რაიმე საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმას*. მეორე ომონიმს კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს: *ვინმესთან ურთიერთობის გაწყვეტა*. ამ კონკრეტული შემთხვევის მაგალითია ასევე - *quitar el hipo* - *შეშინება, შეძრწუნება (ვინმესი)* და *quitar el hipo* - *სასიამოვნოდ გაკვირვება, გაოცება, გაოგნება (ვინმესი)* - პოლისემიის მოშლამ გამოიწვია ორი ომონიმური ფრაზეოლოგიზმის წარმოქმნა.
- ხოფერიას აზრით, მეორე მიზეზი შეიძლება იყოს, როცა ერთი პოლისემანტიკური სიტყვა აბსოლუტურად ერთი ტიპის ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნისას სხვადასხვა მნიშვნელობების რეალიზებას ახდენს. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმში *tener mosca* - *სიფიცხე, გაფიცხება*, კომპონენტი *mosca* უკავშირდება მნიშვნელობას *უკმაყოფილება, წყენა*, ხოლო შესიტყვებაში *tener mosca* - *ფულის ქონა, სახსრების ფლობა*, იგივე სიტყვამ აღნიშნა სასაუბრო მნიშვნელობა - *ფული*.
- და, მესამე მიზეზი, რამაც შეიძლება წარმოქმნას ფრაზეოლოგიზმების ომონიმური მნიშვნელობები არის, როცა ერთი და იგივე თავისუფალი შესიტყვების საფუძველზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში წარმოიქმნება დამოუკიდებელი ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. ამ შემთხვევის მაგალითებად კი მოჰყავს ფრაზეოლოგიური ომონიმები: *hacer humo* - *ერთ ადგილზე ცხოვრება, დამკვიდრება* და *hacer humo* - *ცუდად*

მიღება, პირის არ ჩვენება; *Apretar los tacones* ესპანეთში ნიშნავს *გაქცევას, მოკურცხვლას*, ხოლო ლათინურ ამერიკაში ომონიმურ ფრაზეოლოგიზმს აქვს მნიშვნელობა - *ენერგიულად, მტკიცედ მოქმედება*.²⁹

კოლემანი აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემური კავშირები, იქნება ეს, პოლისემია, სინონიმია, ომონიმია თუ ანტონიმია არ არის ახალი მოვლენა. ამის დასადასტურებლად, განვიხილოთ ერთი მაგალითი შორეული წარსულიდან, კონკრეტულად კი - ფრაზეოლოგიური ომონიმისა. ქალაქი კაუნო³⁰ ცნობილი იყო თავისი ლეღვის ჩირით და ქალაქის სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობდა - *Cauneae* – კაუნოს ჩირი. როდესაც ტრიუნვირმა მარკუს ლიცინიუს კრასომ³¹ გადასხა თავისი ჯარი ბრინდიზის³² კარიბჭესთან სირიისკენ მიმავალ გზაზე, პართიელებთან ბრძოლის გასამართად, გამყიდველმა დაიყვირა *Cauneas!* (კაუნის ლეღვის ჩირი). მისი ეს შემახილი კი გაიგეს, როგორც *Cau(e) n(e) eas* („ფრთხილად, არ წახვიდე!“), რაც კრასოსთვის გაფრთხილებასავით გამოვიდა, რომ არ წასულიყო ომში პართიაში, სადაც, წინასწარმეტყველების მიხედვით, ძვ. წ. 53 წელს გამოესალმებოდა სიცოცხლეს.³³

გარსია-ერნანდესიც თავის ნაშრომში განიხილავს ამ მაგალითს. მისი აზრით, არ არის დადგენილი ამ ორი ლათინური სიტყვის ეტიმოლოგია. იქნებ ისინი ერთი ძირიდან წარმოდგებიან? ასე რომ იყოს, მაშინ მოცემული შემთხვევა იქნებოდა პოლისემიის მაგალითი და, როგორც წესი, აღქმული, როგორც ომონიმია, რაც ომონიმისა და პოლისემიის სინქრონული შედარება-შეპირისპირებისა და მისი მნიშვნელობების დამთხვევის დასტურია.³⁴

სწორედ იგივე აზრს ავითარებს ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე. ის წერს, რომ ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში შესიტყვევებს შორის მყარდება სხვადასხვა სახის პარადიგმატული მიმართებები. მაგალითად მას მოჰყავს სინონიმური

²⁹ (მ. ხოფერია, 2014: 17, 18).

³⁰ *Cauno* (ლათ. *Caunus*) იყო ანტიკური ქალაქი კარიას სანაპიროზე, ანატოლიაში. დღესდღეობით შედის თურქეთის შემადგენლობაში (<https://es.wikipedia.org/wiki/Cauno>).

³¹ *Marcus Licinius Crassus* (ძვ. წ. 112 – 53) - რომის მმართველობის ქვეშ მოქცეული სირიის მმართველი, პართიის სამეფოს წინააღმდეგ სწორედ სირიიდან აწარმოებდა სამხედრო კამპანიას.

³² *Brindisi* - ქალაქი სამხრეთ იტალიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

³³ (R. Coleman, 1991: 190).

³⁴ (B. García-Hernández, 2007: 26, 27).

(ტყემალზე ზის - აზრზე არ არის; ხელის შეწობა - მხარში ამოდგომა, ზურგის გამაგრება), ანტონიმური (კიტრად ღირს - ცეცხლის ფასი ადევს; კალმით ნახატი - გოჯოხეთის მამხალა), პოლისემიური ფრაზემები (სიტყვა ჩამოართვა - „საუბარში ჩაერთა“, „პირობა ჩამოართვა“). გამყრელიძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას, რომ ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნის საკითხი ფრაზემების შემთხვევაშიც რთული გადასაწყვეტია და წერს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ომონიმებად მიჩნევს პირდაპირი და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით ნახმარ შესიტყვებებს.³⁵

მელიადო ბლანკო თავის ნაშრომში წერს, რომ არსებობს ომონიმია ფრაზებს შორის: *dar un repaso a algo* - გადახედვა, გადამეორება - რაც არის კოლოკაცია³⁶ და *dar un repaso a alguien*, რაც არის გამონათქვამი, იდიომი. ამ უკანასკნელს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

1. Superar a alguien de forma aplastante en un concurso, una competición, etc. (No veo un equipo potente desde que España les dio un repaso en Japón) = ვინმეს აჯობო, შეჯიბრებაში გაანადგურო;
2. Regañar a alguien (Pizarro vino al Parlament y les dio un repaso que se quedaron tiesos) = ვინმე გალანძლო, აგინო;
3. Reprimenda (Dio a los contertulios un repaso inmiserable) = საყვედურის თქმა;
4. Superioridad (Mallorca le dio un repaso histórico a los blancos) = აღმატებულობა, უპირატესობა;
5. Merecer (Nos dieron el repaso que nos merecíamos) = დამსახურება;
6. Recibir (Sus amigos reciben un repaso inmiserable) = მიღება.³⁷

როდესაც ვეძებთ გარკვეული სიტყვის, ფრაზის, იდიომის ეტიმოლოგიას, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი - მისი გეოგრაფიული ანუ დიატოპიური ვარიანტები. განსაკუთრებით საინტერესოა ეს საკითხი კასტილიურ ენასთან

³⁵ (თ. გამყრელიძე, 2008: 378).

³⁶ ცნება კოლოკაცია ტექსტის ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა და ნიშნავს ორი ლექსემის უშუალო თანაარსებობას, გვერდიგვერდ პოზიციურებას. კორპუსლინგვისტიკაში კოლოკაცია აღნიშნავს ყველაზე ხშირად გამოყენებულ, ლექსიკური ელემენტების (კორპუსში – ტოკენების) სტატისტიკურად დაანგარიშებად თანაარსებობას (მ. თანდაშვილი, „კოლოკაცია და კოოკურენცია“).

³⁷ (C. Mellado Blanco, P. Buján Otero, 2010: 65 – 67).

მიმართებით, რადგან ესპანური ენა მსოფლიოს 21 ქვეყნის ოფიციალური ენაა, სხვადასხვა კონტინენტზე გავრცელებული და ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ ფრაზეოლოგიზმებს (და არა მხოლოდ ფრაზეოლოგიზმებს), რომლებსაც ესპანეთში ერთი მნიშვნელობა აქვთ, სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში შეიძლება სრულიად სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, ამან კი შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს ან, უფრო მეტიც, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდოს. იაპონელი ენათმეცნიერი კოიკე განიხილავს დიატოპიური ომონიმური ფრაზეოლოგიზმის რამდენიმე მაგალითს:

- *Matar el tiempo* – ესპანეთში ნიშნავს - *დროის მოკვლა, დროის გაყვანა*, გვატემალაში კი - *დროის ვერ გამოყენება რაიმე სასარგებლოს გასაკეთებლად*;
- *Sacar la vuelta* – პერუში ნიშნავს - *მოტყუება, რქების დადგმა*; მექსიკაში - *evitarlo*; ჩილეში კი - *სამსახურში თავიდან აიცილო მოვალეობები და ვალდებულებები*
- *Ahuecar el ala* - ესპანეთში ნიშნავს - *ადგილიდან სწრაფად გაცლა*, ხოლო გვატემალაში, კოსტა რიკაში, ეკვადორსა და ურუგვაიში - *ქალის შეყვარება ან შეცდენა, ცდუნება*.³⁸
- *Ser uña y carne*, რაც ესპანეთში ნიშნავს *იყო განუყოფელი მეგობარი* (პირდ.: იყო ფრჩხილი და ხორცი), მექსიკაში ამბობენ - *ser uña y mugre* (პირდ.: იყო ფრჩხილი და ჭუჭყი), ხოლო დომინიკის რესპუბლიკაში - *ser uña y diente* (პირდ.: იყო ფრჩხილი და კბილი).³⁹

ამრიგად, ფრაზეოლოგიზმების ომონიმური მნიშვნელობების კვლევის დროს, შეცდომაში რომ არ შევიდეთ, უნდა გავმიჯნოთ მისი ომონიმური და პოლისემიური მნიშვნელობები, რადგან, როგორც აღვნიშნე, მყარი შესიტყვების პოლისემიური მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიძლება გახდეს ომონიმური. ასევე, გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ფაქტორი, რადგან ერთ იდიომს ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ომონიმური მნიშვნელობა შეიძლება გაუჩნდეს.

³⁸ (K. Koike, 2003: 58, 59).

³⁹ (C. Sinner, E. Tabares Plasencia, 2016).

თავი IV. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანტონიმური კავშირები

მყარ შესიტყვებებს შორის, აგრეთვე, გვხვდება ანტონიმური წყვილები. ხოფერიას ფრაზეოლოგიური ანტონიმების მაგალითებად მოჰყავს შემდეგი მყარი შესიტყვებები: *pájaro gordo* – დიდი ვინმე, წარჩინებული პიროვნება და *don Nadie* – კაცუნა, არარაობა; *poner sobre las nubes* – მეტისმეტი შექება და *echar pestes* – ლანძღვა უწმაწური სიტყვებით.

რადგანაც ესპანური ფრაზეოლოგიური ერთეულების ანტონიმურ კავშირებზე ვსაუბრობთ, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ზედსართავეებს – *bueno* – *malo* და ზმნიზედებს – *bien* – *mal*. ბევრ მყარ შესიტყვებას ანტონიმური მნიშვნელობები სწორედ ამ სიტყვების გამოყენებით უჩნდებათ. მაგალითად, *buen arte* – მოხერხებულობა, სიმარჯვე, გაწაფულობა და *mal arte* – მოუხერხებლობა, უგერგილობა; *hacer buena harina* – კარგად მოქცევა, რაიმე კარგის გაკეთება და *hacer mala harina* – ცუდად მოქცევა, ცუდის გაკეთება. ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს მსგავსი სტრუქტურა აქვთ, მხოლოდ იცვლება ობიექტის თუ მოვლენის შეფასება: ერთ შემთხვევაში ის დადებითია, მეორეში კი – უარყოფითი. ასეთი ანტონიმური წყვილების მნიშვნელობები ურთიერთგამომრიცხავია. თუმცა, არის შემთხვევები, როცა მოცემული ანტონიმური ზედსართავეებითა და ზმნიზედებით შედგენილი ფრაზეოლოგიზმები სულაც არ წარმოქმნიან მყარ შესიტყვებათა ანტონიმურ კავშირებს. მაგალითად:

1. როცა ეს ანტონიმური ზედსართავეები და ზმნიზედები კარგავენ თავიანთ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობას და ორივე შესატყვისი ერთსა და იმავეს აღნიშნავს. მაგალითად: *ser buena / mala pécora* – გაიძვერობა, გაქნილობა ვინმესი. ამ შემთხვევაში ზედსართავეები *bueno / mala* აღარ ქმნიან ანტონიმურ წყვილს, მათ ერთი და იგივე, უარყოფითი მნიშვნელობა გაუჩნდათ და, შესაბამისად, მოცემულ მყარ შესიტყვებებსაც ვეღარ მივიჩნევთ ანტონიმურად.
2. როცა გვხვდება ფრაზეოლოგიზმები *bueno / malo* კომპონენტით, შეიძლება მივიჩნიოთ ანტონიმური მნიშვნელობების მქონედ, თუმცა ზოგ შემთხვევაში მათ შორის არანაირი კავშირი არ არის. მაგალითად, *tener buen aire* – მოხდენილად,

გრაციოზულად მოძრაობა და *tener mal aire* - ცუდ გუნებაზე ყოფნა - ერთი შეხედვით ანტონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმებია, თუმცა, რეალურად, მათი მნიშვნელობები სრულიად განსხვავებულია.⁴⁰

ხანდახან იმ ფრაზეოლოგიურმა წყვილებმა შეიძლება შეიძინონ ანტონიმური მნიშვნელობები, რომლებსაც ახასიათებთ არასტაბილური კომბინაცია და დაბალი ხარისხის სპეციალიზაციის შემთხვევაში ფუნქციონირებენ, როგორც კოლოკაციები (როცა გარკვეული სიტყვები მუდმივად იხმარება ერთად, მაგალითად: *negar categóricamente* - კატეგორიულად უარყოფა). სწორედ ეს ხდება ფრაზეოლოგიზმებს *levar anclas* = გაყოფა, პენსიაზე გასვლა და *echar anclas* = თავდასხმა, გამარცვა შორის, ორივე ფრაზის გადატანითი მნიშვნელობის გამო, უჩნდებათ ანტონიმური მნიშვნელობები - ღუზის ამოწევა / ღუზის ჩაშვება.⁴¹

ანტონიმური ურთიერთობის ფრაზეოლოგიზმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე ფრაზები, რომლებიც მხოლოდ *no* უარყოფის ნიშნით განსხვავდებიან: *dar de sí* - 1. მაქსიმალური მონდომება, საკუთარი შესაძლებლობის ბოლომდე გამოვლენა, ყველაფრის გაღება 2. გაწევა \neq *no dar de sí* - საკუთარი შესაძლებლობის ბოლომდე არ/ვერ გამოვლენა.⁴²

როგორც შიდა სინონიმია, არსებობს შიდა ანტონიმიაც, რომლის მაგალითია: *ni vivo ni muerto* - არც ცოცხალი, არც მკვდარი; *remover cielo y tierra* ⁴³ - ყველაფრის გაკეთება მიწის მისაღწევად.⁴⁴

ამრიგად, ფრაზეოლოგიური ერთეულების ანტონიმური კავშირების კვლევისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ თუ როგორი სახის ურთიერთობები აქვთ ამ ფრაზეოლოგიზმებში შემავალ კომპონენტებს, არიან ისინი თუ არა ანტონიმურები (როგორც *bueno/malo*, *bien/mal* შემთხვევაში), ახასიათებთ თუ არა სტაბილური კომბინაცია. ასევე, ყურადსაღებია ასეთ კავშირებში უარყოფითი ზმნიზედის - *no* - (არ) არსებობა.

⁴⁰ (მ. ხოფერია, 2014: 19, 20).

⁴¹ (E. Ramón Trives, 2005: 302).

⁴² (J. L. Cifuentes Honrubia, 2006: 5).

⁴³ პირდაპირი მნიშვნელობით იქნება - ცისა და მიწის მორევა.

⁴⁴ (M. C. Garrido Rodríguez, 2006: 705).

თავი V. ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემა

ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის კვლევა ბევრად უფრო რთული და შრომატევადი პროცესია, ვიდრე ცალკეული სიტყვის მნიშვნელობათა ვარიაციის კვლევა, რადგან ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება მათი იგივეობის გაგებას, ამიტომ ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ფრაზეოლოგიური ვარიანტულობა არც თუ ისე დიდი ხანია, რაც კვლევის საგანია და შედეგი არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია, რადგან ნათლად არ არის გაშიფრული ის კატეგორიები, რასაც ამ ფენომენზე საუბრისას ვგულისხმობთ. პირველ რიგშია, ტერმინოლოგიური პრობლემა. ლინგვისტები დღემდე მსჯელობენ თუ როგორ გავმიჯნოთ პოლისემიური თუ ომონიმური კავშირის ფრაზეოლოგიზმები, მიუთითებენ ვარიანტული და სინონიმური ფრაზეოლოგიზმების, სემანტიკური ვარიანტებისა და ფრაზეოლოგიაში პოლისემიური ურთიერთობისაგან გამიჯვნის სირთულეებზე და ა. შ.

ხოფერიას მიხედვით, ფრაზეოლოგიური ერთეულის ვარიანტები გულისხმობს ისეთ მყარ შესიტყვებებს, რომლებიც თანხვდებიან თავიანთი სტრუქტურით, შინაგანი ფორმითა და ფრაზის მუდმივი, უცვლელი მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან რომელიმე ლექსიკური კომპონენტით ან გრამატიკული ფორმით.⁴⁵

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ვარიანტები შეიძლება მივიღოთ მათი მორფოლოგიური, სინტაქსური ან ლექსიკური ვარიაციების შედეგად. ცნობილი ესპანელი ენათმეცნიერი ალბერტო სულუაგა გამოყოფს ფრაზეოლოგიური ვარიაციის რამდენიმე ტიპს, როგორცაა:

1. ზმნის ტრანსფორმაციით, დერივაციით გამოწვეული ვარიაციები - *tomar el pelo* / *tomadura de pelo* - ვისიმე გასულელება, დაცინვა;
2. დიატოპიური (გეოგრაფიული) ვარიაციები - *hacer vacas* (ლათ. ამერიკა) / *hacer novillos* (ესპანეთი) - გაკვეთილების გაცდენა;
3. სოციოკულტურული - *buen día* / *buenos días* - დილა მშვიდობისა;

⁴⁵ (მ. ხოფერია, 2014: 20, 21).

4. დიაფაზური ვარიაციები – *me importa un culo / un chorizo / un pepino / un comino*
- არ მაინტერესებს.⁴⁶

ხოფერიას ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ფრაზეოლოგიური ვარიანტულობა არაერთგვაროვანია და არსებობს რამდენიმე სახეობა:

1. ფრაზეოლოგიური ვარიანტები, რომლებიც მიიღება ლექსიკური ვარირებით, როცა სახეცვლილებას განიცდის ფრაზეოლოგიზმში შემავალი ერთ-ერთი სიტყვა. ცვლადი კომპონენტები შედარებით მკაცრად არიან დაფიქსირებული ენობრივი ტრადიციით ანუ ამჟღავნებენ სიმყარეს ვარირებად ფრაზეოლოგიზმებში და ურთიერთშორის გარკვეულ სემანტიკურ კავშირს ამყარებენ. თავისუფალი ხმარებისას ეს კომპონენტები ხშირად გადაიქცევიან ხოლმე სინონიმებად. აქ ხოფერიას მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

- *Costar / valer un ojo de la cara* - ძალიან მაღალი ფასის დადება;
- *Mirar / ver con anteojos de aumento* - მეტისმეტად გაზვიადება, წინასწარ განჭვრეტა;
- *Vivir por sus brazos / manos* - საკუთარი შრომით არსებობა და სხვა.

ან ისინი შეიძლება ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში შემავალი მნიშვნელობით ახლომდგომი სიტყვები იყვნენ: *atar / juntar / unir los cabos* - შედარება, ყველა გარემოების აწონ-დაწონვა, გამორკვევა; *construir/ formar / fundar / hacer castillos en el aire* - კომპიების აგება, ოცნებებში ფრენა და ა. შ.

2. თუმცა, ხშირად ხდება, როცა შესადარებელი კომპონენტები არ შეეფარდებიან ერთმანეთს თავიანთი სემანტიკური ნიშან-თვისებებით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ფრაზეოლოგიური ვარიანტების შიდა ფორმა არსებით ცვლილებებს არ განიცდის და ფრაზის ძირითადი ხატოვანი, მეტაფორული შინაარსი შენარჩუნებულია ისეთ ვარიანტებში, როგორებიცაა: *sentir / sufrir en carne propia* – განიცადო, საკუთარ თავზე იგრძნო; *echar aceite / leña al fuego* - ცეცხლზე ნავთის დასხმა და ა. შ. ასევე, შესაძლებელია ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტთა ვარიანტულობის სხვადასხვა კომბინაციები: *conducir / llevar / traer en andas* – ქების შესხმა,

⁴⁶ (K. Koike, 2003: 56).

ქებით ცაში აყვანა; dar / entregar / dejar / perder / soltar la pelleja- გარდაცვალება; devolver / volver / rechazar la pelota - სამაგიეროს გადახდა.

3. ლექსიკური ვარიანტულობა უფრო ხშირად ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს. ალბათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ფრაზეოლოგიურ ვარიანტებს, რომლებსაც ლექსიკური ვარიანტება ახასიათებთ ანუ ესპანური ენის სპეციფიკით განპირობებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. როგორც უკვე აღვნიშნე, ესპანური ენის მყარ შესიტყვებათა მნიშვნელობების კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ფაქტორი, რადგან ამ დროს ესპანურ ფრაზეოლოგიზმებს უჩნდებათ განსხვავებული (სინონიმური, ომონიმური, ანტონიმური) მნიშვნელობები და, შესაბამისად, ესპანური ენის ვარიანტულობა გავლენას ახდენს თითოეული ესპანურენოვანი რეგიონის ფრაზეოლოგიის ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ, მაგალითად, მექსიკასა და არგენტინაში ან ნებისმიერ სხვა ესპანურენოვან ქვეყანაში შეიძლება გაჩნდნენ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თვით ესპანეთის ან რომელიმე სხვა ზონის მყარი შესიტყვებების ვარიანტებს ახდენენ. ხოფერიას მიხედვით, ამგვარი ფრაზეოლოგიური ვარიანტები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეროვნული ვარიანტები, მათი ყველა მახასიათებელი თანხვდება ჩვეულებრივ ვარიანტებს, გარდა ერთისა: ეროვნული ფრაზეოლოგიური ვარიანტები გამოირჩევა არა ყველა ესპანურად მოლაპარაკესათვის საერთო ფრაზეოლოგიური ფონდიდან, არამედ ესპანური ენის სხვადასხვა ეროვნული ვარიანტების დონეზე. ამის გამო ეროვნული ფრაზეოლოგიური ვარიანტები არ ენაცვლება ერთმანეთს ეროვნულ ერთობათა უმეტესი ნაწილის წარმომადგენლების მეტყველებაში. ჩვეულებრივ, ნაციონალური ფრაზეოლოგიური ვარიანტები წარმოიქმნება პირენეული ფრაზეოლოგიზმების ბაზაზე. ის წერს, რომ ლათინურ ამერიკულ შესიტყვებებში ერთ-ერთი (ზოგჯერ მეტიც) კომპონენტი ლექსიკურ ამერიკანიზმს წარმოადგენს, შეიძლება ინდიელთა ენებიდანაც მომდინარეობდეს. მყარ შესიტყვებათა ასეთი ვარიანტები ძირითადად „ზმნა + არსებითი სახელი“ ტიპისაა და, შესაბამისად, პირენეული ფრაზეოლოგიზმების სახელურ კომპონენტებს შეესაბამება ამერიკანიზმები ან ინდიხენიზმები:

- *Dar calabazas* (ესპანეთი) / *dar ayotes* (გვატემალა) - ნიშნობის ჩაშლა, საქმროსთვის უარის თქმა;
- *Matar el gusano* (ესპანეთი) / *matar el pingüín* (ჩილე) - უზმოზე სპირტიანი სასმელის დაღვევა, ყელის გასველება.

მოყვანილ მაგალითებში პირენეული და ლათინურ ამერიკული სახელური კომპონენტები სინონიმებს წარმოადგენს. სიტყვა *ayote* აცკეტური წარმომავლობისაა და გოგრას ნიშნავს (ესპანურად - *calabaza*), ხოლო *pingüín*, რომელიც არაუკანულიდან არის ნასესხები, რგოლოვანი ჭიების ერთ-ერთ სახეობას აღნიშნავს (ესპანურად - *gusano*). განხილული ფრაზეოლოგიური ვარიანტების კომპონენტები უფრო ხშირად წარმოადგენს სინონიმებს, ისინი ერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ან ერთმანეთთან მეტაფორულად არიან დაკავშირებული.

4. მყარ შესიტყვებებში, ასევე, გვხვდება ისეთი ლექსიკურ-გრამატიკული ვარიანტები, როცა ფრაზის შემადგენელი კომპონენტები რაოდენობის მიხედვით განსხვავდებიან. ასეთი ვარიანტები წარმოადგენენ ფრაზეოლოგიზმის ორ ფორმას, სრულს და შემოკლებულს. ამ შემთხვევაში, არაერთგვაროვანია ფრაზის შინაგანი ფორმის მეტაფორულობის გამოხატვის სისრულე, მაგრამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა ამით არ იცვლება: *bailar el agua delante / bailar el agua – გულის მოგება, ღაქუცი; estar bailando en Belén – estar en Belén - ღრუბლებში ფრენა...*

5. ლექსიკურ-გრამატიკული ფრაზეოლოგიური ვარიანტები წარმოიქმნება, ასევე, მიმართებითი ზედსართავი სახელისა და მისი სინონიმური შესიტყვების „de + არსებითი სახელი“ ვარიანტებისას. აქ ხოფერიას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: *bañarse en agua rosada / bañarse en aguas de rosa - უმაღლესი ნეტარების განცდა, მეცხრეცაზე ყოფნა...*⁴⁷

ბევრი ენათმეცნიერი, ვინც ამ საკითხით არის დაინტერესებული, საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს და ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის მისეულ კლასიფიკაციას გვიზიარებს. ერთ-ერთი მათგანია, იაპონელი ენათმეცნიერი, კოიკეს, ვისი აზრითაც, არსებობს შემდეგი სახის ვარიაციები:

⁴⁷ (მ. ხოფერია, 2014: 22-27).

1. დერივაციით გამოწვეული, აფიქსიური ვარიაცია - *contar batallas / batallitas* - წარსული მოვლენების გახსენება; *ser el ojo derecho / ser el ojito derecho* - გამორჩეულად საყვარელი;
2. გრამატიკული რიცხვის ცვლილებით - *criar a alguien entre algodón / algodones* - დიდი სიფრთხილით გაზრდა, ცივ ნიავს არ აკარებენ, თავს დაჰკანკალებენ;
3. სინტაქსური ცვლილება, როცა ხდება არტიკლის, წინდებულის, ნაცვალსახელის ვარირება...
 - სინტაქსურ-სტრუქტურული ცვლილება - *hacer la vista gorda / hacerse de la vista gorda* - თვალის დახუჭვა, ვითომ ვერ დანახვა;
 - თანრიგის ცვლილება, კომპონენტის ინვერსიულობა - *ser uña y carne / ser carne y uña* - იყო განუყოფელი მეგობარი;
 - თანდებულთა ურთიერთმონაცვლეობა - *levantarse de / con el pie izquierdo* - მარცხენა ფეხით ადგომა, ცუდი დღის ქონა;
 - არტიკლის შეცვლა ნაცვალსახელით - *no dar el brazo a torcer / no dar su brazo a torcer* - საკუთარ აზრზე მყარად დგომა, პოზიციის შენარჩუნება, თავის არ დახრა.⁴⁸

ამ კატეგორიის ვარიაციებია, ასევე:

- ერთ-ერთი არტიკლის გამოტოვება: *a una vuelta de cabeza / a vuelta de cabeza* - მყისვე, მაშინვე, მომენტალურად...
- განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების მონაცვლეობა: *dar la campanada / dar una campanada* - წამორიშვა, სისულელის თქმა ან გაკეთება...
- უარყოფითი *no* ნაწილაკის ფაკულტატური ხმარება: *no importar una higa / importar una higa* - რაიმესთვის მნიშვნელობის მიუნიჭებლობა...⁴⁹

ენათმეცნიერი გარსია ფეიჯი კი ფრაზეოლოგიური ვარიანტულობის შემდეგ კლასიფიკაციას გამოყოფს:

⁴⁸ (C. Sinner, E. Tabares Plasencia, 2016).

⁴⁹ (მ. ხოფერია, 2014: 28, 29).

1. ფონეტიკური, ჟღერადობის მხრივ - *así y asado / así y asao* = (გააკეთო) ან ისე ან ასე, ან ერთი მეთოდით ან მეორეთი;
2. გრაფიკული - *¡a huevo! / ¡a güevo!* = რა თქმა უნდა! / ძალით;
3. მორფოლოგიური - *aventarse la pelota / aventarse la pelotita* = ვინმე აიძულო პირისპირ და თამამად დაუდგეს გარკვეულ მოვლენას, საგანს და ის წარმოაჩინო, როგორც პასუხისმგებელი პირი;
4. გრამატიკული - *a fin de cuentas / al fin de cuentas* = ბოლოს, დასასრულს;
5. სინტაქსური - *a viva voz / a voz viva* = ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა;
6. ლექსიკური - *[alguien] dar guerra / dar guerra [a alguien] = [alguien] dar la lata / dar la lata [a alguien] – [ვინმეს] შეწუხება, ტვინის შეჭმა / შეწუხება, ტვინის შეჭმა [ვინმესი].⁵⁰*

უნდა გავარჩიოთ ჰიპონიმური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც თავის მხრივ, არიან სინონიმურები - *cerrar los ojos* (1. თვალის დახუჭვა, დასვენება; 2. გარდაცვალება) / *dejar el pellejo* (1. ძალის გამოცლა, დაღლა; 2. გარდაცვალება) / *estirar la pata* (ფეხების გაჭიმვა, გარდაცვალება) / *pasar a mejor vida* (გარდაცვალება), *pringarla* (1. შეცდომის დაშება; 2. გარდაცვალება), *quedarse tieso* (1. გაოცება, გაქვავება, გაყინვა; 2. გარდაცვალება) - იმ ვარიანტებისგან, რომლებიც არიან ერთი და იგივე ერთეულები - *dormir como un bendito / ceporro / leño / lirón / santo / tronco / una marmota / una piedra* - ღრმად, მშვიდად ძილი.⁵¹

ამრიგად, ფრაზეოლოგიზმების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მათი ვარიანტულობის პრობლემის კვლევას. ბევრი ენათმეცნიერი საკუთარ კლასიფიკაციას წარმოგვიდგენს. რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემ მიერ მოყვანილი მაგალიტებით არ ამოიწურება ეს ვრცელი და საკამათო თემა, რადგან შესაძლებელია გრამატიკული ვარიანტულობის სხვა სახეების, მაგალითად, მრავალფეროვანი შერეული ვარიაციების არსებობაც, მე კი მხოლოდ ძირითადად გავამახვილე ყურადღება.

⁵⁰ (C. T. Fajardo Rojas, 2017: 97).

⁵¹ (J. M. García Platero, 2006: 15).

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები ამჟღავნებენ სინონიმურ, ანტონიმურ, ომონიმურ, პოლისემიურ კავშირებს ერთმანეთთან და ტექსტის სხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ელემენტებთან. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ თუ რა სახის სისტემური კავშირები ახასიათებთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ესპანურ ენაში, განვიხილეთ თუ რა სახის ვარიაციები შეიძლება არსებობდეს მათ პოლისემიურ, სინონიმურ, ომონიმურ თუ ანტონიმურ ურთიერთობებში. ყურადღება გავამახვილეთ ფრაზეოლოგიზების ეკვივალენტურობის პრობლემაზე თარგმნის პროცესში და მათი შესწავლის აუცილებლობაზე. საქართველოში, ესპანურ ენასთან მიმართებით, არსებული კვლევების სიმწირის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მოცემული ნაშრომი აქტუალურობას არ კარგავს.

ამრიგად, ფრაზეოლოგიის გამოყენება ტექსტში ქმნის იზოტოპიას, ზრდის ტექსტში შეთანხმებულობას, კავშირს, თანხვედრას და ხელს უწყობს დისკურსის განვითარებას. ფრაზეოლოგიური ერთეულები ენაში ირეკლება, ეხება ლინგვისტური საზოგადოების კულტურულ ფაქტებს, ირეკლავს გარემოს, რწმენა-წარმოდგენებს, საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას. ამიტომ არსებობს ერთგვარი კავშირი იდიომატური გამონათქვამის პირდაპირ მნიშვნელობასა და მოსაუბრის მიერ აღქმულ ასპექტს ანუ მის გადატანით მნიშვნელობას შორის. ეს ქმნის სწორედ ფრაზის დამატებით ღირებულებას. შესაბამისად, თუ გვინდა, შევისწავლოთ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ისტორია, კულტურა, ხალხის ტრადიციები, ამაში ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა ძალიან დიდი დახმარებას გაგვიწევს. სწორედ მასშია დალექილი საზოგადოების ცნობიერება და ეროვნული აზროვნება. სწორედ ფრაზეოლოგიზმებში ვლინდება ენობრივი საშუალებებით გადმოცემული ობიექტური რეალობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 795 გვერდი.
2. ონიანი ალ., *ქართული იდიომები*, თბილისი, ნაკადული, 1966, 196 გვერდი.
3. ხოფერია მ., *ფრაზეოლოგია ესპანურენოვან სივრცეში*, თბილისი, „მერიდიანი“, 2014, 82 გვერდი.
4. ჯორბენაძე ბ., *ენა და კულტურა*, თბილისი, სალექციო კურსი, 1997. ელ. - მისამართი: <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/100.pdf>
5. Cifuentes Honrubia J. L., *Relaciones semánticas*, Madrid, Liceus, Servicios de Gestión, 2006, ელ. - მისამართი: <https://books.google.ge/books?id=usCmmrQYd4QC&pg=PA5&lpg=PA5&dq=la+antoni+mia+fraseológica&source=bl&ots=vH56hLXedc&sig=4NDVElw4W6MklEVoDgpBe77e8Ek&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwjJ4-fWovLdAhXR04sKHXXOA-gQ6AEwCnoECAUQAQ#v=onepage&q=la%20antonimia%20fraseológica&f=false>
6. Coleman R., *New Studies in Latin Linguistics*, Cambridge, John Benjamins Publishing, 1991, 478 pages. ელ - მისამართი: https://books.google.ge/books?id=IX32D9sK0x0C&pg=PA190&lpg=PA190&dq=CAUNEAE+meaning&source=bl&ots=Z4K5Jcd1ku&sig=ceDaWllt7B9u26HU0DAanvdyqTg&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwjT_N20qfbdAhXskosKHd5ZAFEQ6AEwAnoECAcQAQ#v=onepage&q=CAUNEAE%20meaning&f=false
7. Corpas Pastor G., *Manual de fraseología española*, Madrid, Cremos, 1997, 338 pages <https://www.scribd.com/document/244345575/CORPAS-Gloria-Manual-de-fraseologia-espanola-pdf>
8. Fajardo Rojas C. T., *Sinonimia en locuciones léxicas del español mexicano*, México, 2017, 112 pages (PDF);
9. García-Hernández B., *De iure uerrino: el derecho, el aderezo culinario y el augurio de los nombres*, Madrid, Librería-Editorial Dykinson, 2007, 240 pages. ელ. - მისამართი:

- <https://books.google.ge/books?id=7mWivnYnP9AC&pg=PA38&dq=la+polisemia+fraseol\u00f3gica&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwj4u6HnPLdAhUBuIsKHcKRBUQQ6AEIKzAB#v=onepage&q=la%20polisemia%20fraseol\u00f3gica&f=false>
10. Garc\u00eda Platero J. M., *Polisemia y monosemia en el l\u00e9xico. Homonimia, sinonimia y antonimia*, Madrid, Liceus, Servicios de Gestio\u00f3n, 2006. \u0433\u043b. - \u043c\u043e\u0431\u0430\u0433\u0440\u0430\u0442\u043e:
<https://books.google.ge/books?id=RJbH0p5e0bgC&pg=PA15&dq=ejemplos+de+la+antonimia+fraseol\u00f3gica&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiwvY6k8fPdAhUMs4sKHZN0ASQQ6AEIMjAC#v=onepage&q=ejemplos%20de%20la%20antonimia%20fraseol\u00f3gica&f=false>
 11. Garrido Rodr\u00edguez M. del C., *Sinonimia y antonimia: significado y sentido*, Universidad de Le\u00f3n, 2006 (PDF);
 12. Koike K., *Las unidades fraseol\u00f3gicas del espa\u00f1ol: su distribuci\u00f3n geogr\u00e1fica y variantes diat\u00f3picas*, Tokio, Univ. Takushoku, 2003 (PDF);
<http://e-spacio.uned.es/fez/eserv.php?pid=bibliuned:Epos-1B03B34B-621C-7494-196F-528EAD928865&dsID=Documento.pdf>
 13. Mellado Blanco C., Buj\u00e1n Otero P., *Familienbilder als Zeitbilder. Erz\u00e4hlte Zeitgeschichte(n) bei Schweizer Autoren vom 18. Jhdt. bis zur Gegenwart*, Berlin, Frank & Timme GmbH, 2010, 300 pages. \u0433\u043b. - \u043c\u043e\u0431\u0430\u0433\u0440\u0430\u0442\u043e:
<https://books.google.ge/books?id=f0DPixwVb0gC&pg=PA65&dq=la+homonimia+fraseol\u00f3gica&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiyvMXdofLdAhUBpYsKHbbJBu8O6AEIOjAD#v=onepage&q=la%20homonimia%20fraseol\u00f3gica&f=false>
 14. Merino Gonz\u00e1lez A., *Fraseolog\u00eda y ling\u00fc\u00edstica cognitiva. Estudio interdisciplinar de la fraseologizaci\u00f3n de la locuci\u00f3n som\u00e1tica de boca en boca*, Universidad de Valencia, 2015, (PDF) https://rua.ua.es/dspace/bitstream/10045/52916/1/ELUA_29_10.pdf
 15. Ram\u00f3n Trives E., *Fraseolog\u00eda contrastiva: con ejemplos tomados del alem\u00e1n, espa\u00f1ol, franc\u00e9s e italiano*, Murcia, Editum, 2005, 368 pages. \u0433\u043b. - \u043c\u043e\u0431\u0430\u0433\u0440\u0430\u0442\u043e:
https://books.google.ge/books?id=GSm3NqBxIdgC&pg=PA181&dq=sinonimia+en+la+fraseologia&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwi2x_a7mPLdAhWNtosKHRnLAQoQ6AEILDAB#v=onepage&q=sinonimia%20en%20la%20fraseologia&f=false
 16. Schellheimer S., *La funci\u00f3n evocadora de la fraseolog\u00eda en la oralidad ficcional y su traducci\u00f3n*, Berlin, Frank & Timme GmbH, 2016, 356 pages. \u0433\u043b. - \u043c\u043e\u0431\u0430\u0433\u0440\u0430\u0442\u043e:

<https://books.google.ge/books?id=u8P6CwAAQBAJ&pg=PA64&dq=sinonimia+en+la+fraseologia&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwi2x a7mPLdAhWNtosKHRnLAQoQ6AEIJTAA#v=onepage&q=sinonimia%20en%20la%20fraseologia&f=false>

17. Valero Gisbert M., *Fraseología, gramática, lexicografía*, Mantova, Universitas Studiorum, 2013, 192 pages. ელ - მისამართი:
<https://books.google.ge/books?id=bflyAgAAQBAJ&pg=PA13&dq=la+variación+fraseológica&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwj2krLgmfTdAhXLWSwKHWIyBaoQ6AEIYTAJ#v=onepage&q=la%20variación%20fraseológica&f=false>

სტატიები:

1. გოზიტაშვილი ქ., ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ინგლისურ ენებში, „სპეკალი“, №6. მოძიებულია: 17/10/2018 –
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/6/54>
2. თანდაშვილი მ., კოლოკაცია და კოოკურენცია, მოძიებულია: 23/10/2018 -
<http://tandaschwili.com/thema-2/კოლოკაცია-და-კოოკურენცია>
3. კობეშავიძე მ., ახვლედიანი ც., ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითი ანალიზი ესპანურ, ფრანგულ და ქართულ ენებში, თბილისი, Scripta Manet, 2017, №1 (33).
4. სიჭინავა ნ., მსოფლიოს ეროვნული და უნივერსალური სურათის ასახვა ფრაზეოლოგიზმების თარგმანში, ქუთაისი, ქართველური მეცნიერება, 2010. მოძიებულია 17/10/2018 –
<https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/issues/XIV/SichinavaNelly.pdf>
5. Mellado Blanco C., *La polisemia en las unidades fraseológicas: género y tipología*, Biblioteca fraseológica, Monografías N.º 5. მოძიებულია 20/10/2018 -
https://cvc.cervantes.es/lengua/biblioteca_fraseologica/n5_durante/mellado_02.htm
6. Sinner C., Tabares Plasencia E., *El problema de las variantes fraseológicas desde la perspectiva de la lingüística de variedades*, 2016. მოძიებულია 23/10/2018 –
https://scielo.conicyt.cl/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0718-48832016000200002